

ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონი

ქართულ ენაში მომზადების პროგრამის

სტუდენტებისათვის

ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების კურსი

ისტორია

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი, 2017

ენობრივი კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი

პროექტი

„არაქართულენოვან სტუდენტთა აკადემიური მხარდაჭერის
სრული (ბეჭდურ-ელექტრონული) პაკეტი“



გამოცემულია ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

Published with the financial support of the Open Society Georgia Foundation. The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material

კონცეფციის ავტორები და შემდგენლები: **კახა გაბუნია, ჭაბუკი ქირია**

მთარგმნელი: **გიზხანუმ ახმელოვა**

რედაქტორი: **ქეთევან გოჩიტაშვილი**

ISBN

აბაზგია - აბაზგებით დასახლებული ისტორიული მხარე დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, ახ. წ. დასაწყისში ეკავა დაახლოებით ახლანდელი ოჩამჩირის რაიონის ტერიტორია, I-II საუკუნეებში აქ წარმოიქმნა აბაზგების სამთავრო, რომელმაც VI-VII სს-ში ჩრდილოეთით გადაინაცვლა მდ. გუმისთასა და ბზიფს შუა.

აბაზგები - აფხაზების მონათესავე ხალხი, ცხოვრობენ ყარაჩაი-ჩერქეზეთის აულში, ადიღეს აულში, ყაბარდო-ბალყარეთში, კისლოვოდსკის ოლქში და ლაპარაკობენ აბაზურ ენაზე, აბაზგების წინაპრები სახლობდნენ შავი ზღვის ჩრდ.-აღმ. სანაპიროზე, თანამედროვე აფხაზეთის ჩრდ.-დასავლეთით.

Abazgiya müasir Abxaziya ərazisində abazgilərlə məskunlaşmış tarixi tərəf, müasir Oçamçire rayonunun ərazisini tutmuş, I-II əsrlərdə burada abazgilərin knyazlığı yaradılmış və VI-VII əsrlərdə şimala yerini dəyişdi, Qumista və Bzip çaylarının ortasına.

Abazlar abxazlara qohum xalqdır, Qaraçay-çerkezlərin aulunda, Adigey aulunda, Kabardino-Balkariyada, Kislovodsk bölgəsində yaşayırlar və abaz dilində danışırlar. Abazların əcdadları Qara dənizin şim. şərq sahilində yaşayırdılar, müasir Abxaziyanın şimal-şərq sahilində məskunlaşmışdılar, abxaz tayfalarına birləşmə prosesi birinci minillikdə abazları da özünə qoşdu, amma abazların və abxazların tayfalarının zəif siyasi və iqtisadi

əlaqəsinə görə, onların son olaraq birləşməsi baş tutmadı.

აბაზი - ფულის ერთეული, ვერცხლის მონეტა, შემოიღო ირანში აბაზ პირველმა, აქედან სახელწოდება აბაზი სწრაფად გავრცელდა მეზობელ ქვეყნებში, კერძოდ საქართველოში, სადაც აბაზს ჭრიდნენ XVII ს-ის I მეოთხედიდან XVIII ს-ის მიწურულამდე.

აბიბოს ნეკრესელი - საეკლესიო მოღვაწე, ასურელი მამა. საქართველოში მოვიდა სირიიდან VI ს-ის II ნახევარში, თავდაპირველად მოღვაწეობდა ზედაზნის მონასტერში, შემდეგ განაგებდა ნეკრესის საეპისკოპოსო კათედრას, ეწეოდა ფართო მისიონერულ მოღვაწეობას, გააქრისტიანა არაგვისპირეთის

Abbası pul vahididir, gümüş pul, onu ilk dəfə İranda Birinci Abbas qəbul etmişdir, buradan abbası adı sürətlə qonşu ölkələrdə yayılmağa başladı, xüsusilə də Gürcüstanda və abbasını XVII əsrin I rübündən XVIII əsrin sonuna qədər kəsirdilər.

Aviv Nekresli kilsə xadimi, assiriyalı ata. Gürcüstana Suriyadan VI əsrin II yarısında gəlmiş, ilk dəfə Zedazeni monastrında fəaliyyət göstərirdi, sonra Nekresdə yepiskop kafedrasına rəhbərlik edirdi, geniş missioner fəaliyyətini göstərir, Araqvikənarı dağlı kaxetilərini xristianlaşdırmış, İranın rəsmi dininin – atəşpərəstliyin yayılmasına qarşı mübarizə aparırdı.

მთიელი კახელები, ებრძო-
და ირანის ოფიციალური
რელიგიის - ცეცხლთაყვა-
ნისმცემლობის გავლენას.

აბრეშუმის დიდი გზა -
სავაჭრო-საქარავნო გზა,
რომელიც ჩინეთს ხმელთა-
შუა და შავი ზღვების
სანაპიროებთან აკავში-
რებდა, ამ გზით ვაჭრობას
დასაბამი მიეცა ძვ. წ. II ს-
ში. ამ გზამ მნიშვნელო-ბა
დაკარგა XVII ს მიწურულს,
როდესაც ევროპელებმა
საბოლოოდ აითვისეს საო-
კეანო გზა აფრიკის
შემოვლით, ამ გზამ ხელი
შეუწყო ეკონომიკური და
კულტურული ურთიერ-
თობების განვითარებას
აღმოსავლეთისა და და-
სავლეთის ქვეყნებს შორის.

აბჯარი - სამხედრო
საჭურველი, რომელიც
მეომარსა და მის ცხენს
მტრის იარაღისაგან იცავ-

Böyük İpək Yolu ticarət-karvan
yoludur. Çini Aralıq və Qara
dənizlərin sahilləri ilə birləşdirirdi,
e.ə. II əsrdə bu yolla ticarətin əsası
qoyulmuşdu. Bu yol öz
əhəmiyyətini XVII əsrin sonunda
itirdi ki, bu zaman avropalılar son
olaraq Afrikanı keçərək okean
yolunu öyrəndilər, bu yol Şərq və
Qərb dövlətləri arasında iqtisadi və
mədəni əlaqələrin inkişafına dəstək
verdi.

Dəbilqə hərbi vasitədir ki,
hərbiçini və onun atını düşmən
silahından qoruyur, Gürc-üstanda
dəbilqə hələ qədimlərdən istifadə

და, საქართველოში აბჯარს უძველესი დროიდან ხმარობდნენ. თრიალეთში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოაჩინეს ბრინჯაოს მუზარადისა და ფარების ნაშთები. ძვ. წ. III ათასწლეულში ბერძნული მითის მიხედვით კოლხეთის მეფე აიეტს ღვთაება არესისაგან ნაბოძები ჰქონია ოქროს მუზარადი. საქართველოში ნადავლ საჭურველს, მათ შორის მუზარადებს სალოცავებს სწირავდნენ, მაგ., ქუცნა ამირეჯიბს ჯალალედინის მუზარადი მრავალძლის ეკლესიისათვის შეუწირავს.

აბჯარსაცავი - საომარი იარაღის, საჭურველის, აბჯრის სანცობი

აბჯარ-საჭურველი - აბჯარი და საჭურველი.

აბჯარ-ჯავშანი - აბჯარი და ჯავშანი

olunurdu. Trialetidə arxeoloji qazıntılar zamanı bürünc dəbilqələrin qalıqlarını tapdılar. E.əv. III minillikdə yunan əsətinə əsasən, Kolxeti çarı Ayetə Ares ilahisindən qızıl dəbilqə bağışlanmışdır. Gürcüstana qənimət gətirilən dəbilqələri ibadət xanalara verirdilər, məsələn, Kutsna Amirecibi Cəlaləddinin dəbilqəsini Mravaldzeli kilsəsi üçün hədiyyə vermişdi.

Dəbilqə saxlanılan yer hərbi alətlərin, qalxan və zirehlərin saxlanıldığı yeri

Yaraq-əsləhə yaraq və qalxan

Dəbilqə-zireh yaraq və zireh

ავრესია - თავდასხმა, ძალა-ღობა

ავრესორი ავრესიის ჩამდენი, თავდამსხმელი, მოძალადე მხარე

ადგილის დედა ქართული წარმართული ღვთაება, ამათუ იმ ადგილის მკვიდრთა მფარველი. ვარაუდობენ, რომ ადრე ნაყოფიერების ღვთაებადაც ითვლებოდა, ადგილის დედის კულტი, რომელიც მთელ საქართველოში უნდა ყოფილიყო გავრცელებული, დიდხანს შემოინახა აღმოსავლეთ საქართველოს მთამ.

ადლი - სიგრძის საზომი ერთეული, ძველ საქართველოში; იხმარებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე.

ავტომატი - ერთგვარი ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც ჩახმახის ერთი გამოკვრის შემდეგ ავტომატურად ისვრის.

Agressiya hücum, zorakılıq

Agressor aqressiyanı törədən, hücumçu, zorakı tərəf

Yerin anası Gürcü büt-pərəstlik ilahəsi, bu və ya digər yerin sakinlərinin ilahəsi. Ehtimal edirlər ki, əvvəllər məhsul allahı da hesab olunurdu, tam Gürcüstanda yayılmış Yerin anası bütü uzun müddət Şərqi Gürcüstan dağında qorunub saxlanılmışdır.

Adli Qədim Gürcüstanda uzunluq ölçü vahidi; metr sisteminin qəbul edilməsinə qədər istifadə olunurdu.

Avtomat bir növ odlu silahdır ki, bir dəfə çaxmağı çəkildən sonra avtomatik atır.

ავტონომია - ტერიტორიული ერთეული, რომელიც თვითმმართველობით სარგებლობს.

აზავერი - ტვირთის საკიდარი, სასაპალნე ხარი; ფართოდ გამოიყენებოდა ადრინდელი შუასაუკუნეების საქართველოში; მოხსენიებულია „ვეფხისტყაოსანში“.

აზარტემა - ვერცხლის გრძელტარიანი სასმისი, უპირატესად მოოქროვილი და მოსევალებული.

აზატები - საშუალო და წვრილი მიწათმფლობელები სასანიანთა ირანში, საქართველოში შემოვიდა თავისუფლის მნიშვნელობით; იგი იხმარებოდა აგრეთვე უფრო გვიან შემოსული *თარხნის* სინონიმად, ზოგჯერ ყმობისაგან მთლიანად გათავისუფლებულსაც უწოდებ-

Avtonomiya muxtariyyat - ərazi vahididir

Azaveri yük üçün qoşqu öküzü; erkən orta əsrlərin Gürcüstanında istifadə olunurdu; “Pələngdərisi geymiş qəhrəmanda” adı çəkilir.

Azarpeşa gümüşdən uzunqulplu piyalə, əsasən qızıl suyuna çəkilmiş.

Azatlar farsca Sasani İrənində azad, orta və xırda mülkədarlar, Gürcüstana azadlıq mənası ilə daxil olmuşdur; eləcə də daha sonralar daxil olmuş tarxan sinonimi kimi də istifadə olunurdu, bəzən onu təhkimçilikdən tam azad edilmiş də adlandırırlar.

დნენ.

აზნაური - ფეოდალური საზ.-ის გაბატონებული კლასის წარმომადგენელი, სპარსულად დანინაურებულს ნიშნავს; *აზნაურთა* და *უაზნოთა* არსებობა ქართლში უკვე შუმანიკის მარტვილობაშია დადასტურებული. V ს-ის საქართველოში არსებობდა ნოდებრივი ჯგუფები, კერძოდ მემკვიდრეობითი პრივილეგიებით აღჭურვილი მემამულეთა ნოდება, სახელწოდება *აზნაური* შემდგომში ყველა წარჩინებულზე გავრცელდა, X-XVIII ს-ში ყველაზე მაღალ წრეს შეადგენდნენ *დიდებულნი აზნაურნი* ან *დიდებულნი*. იყვნენ აგრეთვე *უცინო აზნაურნი*, *საშუალო* და *წვრილი აზნაურობა*, აზნაურთა სხვადასხვა ფენის შინაკლასობრივი

Aznauri feodal cəmiyyətində hakim sinfin nümayəndəsi, farsca irəli sürülmüş mənasını daşıyır; *aznaurların və uaznoların* Kartlidə artıq Şuşanikin şəhadətliyində təsdiq olunmuşdu. V əsrin Gürcüstanında imtiyazlı qruplar var idilər, xüsusilə də irsi imtiyazlarla təmin olunan vətəndaşların adı idi. Aznauri adı sonralar fərqli insanlar arasında yayılmağa başladı, X-XVIII əsrdə ən yüksək dairəni kübar aznaurlar təşkil edirdilər. Eləcə də *qəsrəz aznaur*, *orta və xırda aznaur*, aznaurların müxtəlif təbəqəsinin sinifdaxili münasibətləri üçün xarakterik olan təhkimçilik quruluşu idi və əsasını mülkədarlıq münasibətləri təşkil edirdi. XVI-XVII əsrdə aznaurlar yavaş-yavaş Çar Sarayı, kilsə və knyazlarla möhkəm münasibətlər qurdu, bu yolla aznaurların 3 qrupu formalaşdı, çar aznaurları daha çox imtiyazlarla və nüfuzla faydalanırdılar, nəinki kilsə və

ურთიერთობისათვის და-
მახასიათებელი იყო აგრე-
თვე *პატრონჟიმობა*, რომე-
ლსაც საფუძვლად საად-
გილმამულო ურთიერ-
ობა ედო. XVI-XVII სს-ში
აზნაურობა თანდათან
მოექცა მეტ-ნაკლებად მყარ
დამოკიდებულებაში სამე-
ფო სახლთან, ეკლესიასა
და თავადებთან, ამ გზით
აზნაურთა 3 ჯგუფი ჩამო-
ყალიბდა, *სამეფო აზნაუ-
რები* მეტი პრივილეგიებით
და გავლენით სარგებ-
ლობდნენ ვიდრე *საეკ-
ლესიო* და *სათავადო*
აზნაურები.

ათაბაგი - მეფის აღმზრ-
დელი. ეს თანამდებობა
საქართველოში თამარ
მეფემ შემოიღო.

ათაბაგი - სელჩუკთა
სახელმწიფოში სულთნის
მემკვიდრის აღმზრდელი
და მეურვე. საქართვე-

knyaz aznaurları.

Atabəyi çarın tərbiyəçisi. Bu
vəzifəni Gürcüstana çarıça Tamara
gətirmişdir.

Atabəyi səlcuqlar dövlətində
sultanın övladının tərbiyəçisi və
qəyyumu. Gürcüstanda atabəylik
çar hakimiyyətinə qarşı çıxan iri

ლოში ათაბაგობა დამკვიდრდა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ოპოზიციურად განწყობილი მსხვილი ფეოდალების გაძლიერების შედეგად 1212 წ. იგი პირველად ებოძა ივანე მხარგრძელს. ათაბაგობა იმთავითვე დაუპირისპირდა მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელის თანამდებობას, საქართველოს პოლიტიკური დანაწილების შემდეგ ათაბაგობა, როგორც ვაზირობა, მოისპო. ათაბაგი სამცხის მთავართა ტიტულად იქცა, - აქედანაა სამცხე-საათაბაგო.

ათაგენობა - ქრისტიანული დღესასწაული, ფართოდ ყოფილა გავრცელებული საქართველოსა და სომხეთში, განეკუთვნებოდა მოძრავ დღესასწაულთა ციკლს, იმართებოდა ივნის-

feodalların güclənməsi nəticəsində 1212-ci ildə bərqərar olundu. Bu adı ilk dəfə İvane Mxarqrdzeli almışdır. Atabəylik elə əvvəlcədən mtsiqnobarxut-sesi Çxondidelinin vəzifəsinə qarşı çıxdı. Gürcüstanın siyasi bölgüsündən sonra atabəylik, vəzirlik kimi, aradan götürüldü. Atabəy Samsğə knyazlarının tituluna çevrildi, - buradan Samsğə-atabəyliyi gəlir.

Atagenlik xristianlıq bayramı, Gürcüstanda və Ermənistanda geniş yayılmışdır, hərəkətli bayramlar dövrünə aid idi, iyun-iyul aylarında Pasxadan 98-ci gündə qeyd edilirdi, hal-hazırda Şərqi Gürcüstanın dağında saxlanılmışdır, Xevsuretədə onu atengenlik adlandırırlar,

ივლისში აღდგომიდან 98-ე დღეს, ამჟამად შემორჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, ხევსურეთში მას *ათენ-გენობას* ეძახიან, თუშეთში *ათინგენობას*.

ათასისთავი - სამხედრო და ადმინისტრაციული ფუნქციების მქონე მოხელე ძველ საქართველოში, ემორჩილებოდა ერისთავს, გვიანდელ ფეოდალურ ხანაში *მინბაში* ეწოდებოდა.

ათისთავი - 1. საქართველოში 1905 რევოლუციის დროს სოფელში უბნის ხელმძღვანელად არჩეული პირი; 2. ძველ საქართველოში რაიმე შემოსავლის მეთადი, ნაათალი.

ათონის აქტები - ათონის მთაზე არსებული მონასტრებისადმი გაცემული სიგელ-გუჯრები, სასა-

Tušetidə atin-genlik.

Minbaşı Gürcüstanda hərbi və inzibati funksiyalara malik məmur, eristaviyə tabe idi, son feodal dövründə *minbaşı* adlandırılırdı.

Onbaşı 1. Gürcüstanda 1905-ci il inqilabı zamanı kənddə sahəyə rəhbərlik edən seçilmiş şəxs; 2. Qədim Gürcüstanda hər hansı bir gəlirin onda biri, onluğu.

Aton aktları Aton dağındakı monastrlara verilən tərifnə-mələ, məhkəmə qərarları və başqa sənədlərin ümumi adı, hansılar

მართლოს დადგენილ-
ბებისა და სხვა საბუთების
საერთო სახელწოდება,
რომელთაც როგორც
ისტორიულ წყაროს, დიდი
მნიშვნელობა აქვთ

ათძალი - ძველი ქართუ-
ლი ათსიმიანი საკრავი,
ბერძნული კითარის მსგ-
ავსი.

აკესტატერი - კოლხეთში
მოჭრილი ოქროს მონეტა
(ძვ. წ. III ს). შუბლზე
გამოსახულია ალ. მაკედო-
ნელის პროფილი, ზურგ-ზე
ქალღმერთი ათენა და
ბერძნული წარწერა *ბასი-
ლეუს აკი, აკე*. კოლხეთის
მეფე *აკეს* სახელი სხვა
წყაროებით უცნობია.

აკლდამა - ძველებრა-
ულად *აგელდამ*, სისხლის
ველი. სამარხი ნაგებობა,
საქართველოში აღმოჩე-
ნილია ქართლის სამეფოს
მესვეურთა, წარჩინებულთა

tarixi mənbə kimi böyük
əhəmiyyətə malikdirlər.

Onsimli Qədim gürcü onsimli
çalğı aləti, yunan gitarasına oxşar.

Akestater Kolxetidə kəsilmiş
qızıl sikkə (e.ə. III əsr) ortada
Makedoniyalı İsgəndərin profili
təsvir olunmuşdur, arxa tərəfində
isə Afina ilahəsi və yunanca yazı
Basileus Aki, Ake. Kolxeti çarı
Akenin adı başqa mənbələr
məlum deyil.

Aklđama, sərdabə qədimlərdə
Aqeldam, qan çölü. Qalq tikilisi,
Gürcüstanda Kartli çarlığının
hakimlərinin, alilərin üzvlərinin
mavzoley tipinin I əsr sərdabələri
Məsxetada.

და მათი ოჯახის წევრთა მავზოლეუმის ტიპის I ს-ის აკლდამები მცხეთაში.

აკლება - დანაშაულის სახე, რომელიც გავრცელდა შუა საუკუნეების დასასრულს, ფეოდალები ურთიერთს მიუხედებოდნენ, მამულს უობრებდნენ და ყმებს უწიოკებდნენ, რაც ასუსტებდა ქვეყანას სახელმწიფო დევნიდა ამგვარ ქმედებას.

აკროპოლისი ბერძნ. აკროს – „ზედა“, პოლის „ციხე“ – ძველი ბერძნული ქალაქის ყველაზე მაღალი და გამაგრებული ნაწილი, ე. წ. ზედა ქალაქი, ქართულად შიდა ციხე, ზედა ციხე.

ალაბი სივრდის საზომი ერთეული ოსმალეთში, გავრცელებული იყო დას. და სამხრ. საქართველოში.

Akleba cinayət növü, Orta əsrlərin sonunda yayılmışdı, feodallar bir-birinə hücum edir, vətəni viranə qoyur və təhkimliləri yandırır-dılar və bununla da ölkəni zəiflədirdi, dövlət belə bir əməli zəiflədirdi.

Akropolis yunanca **akros** – “yuxarı”, polis “qala” – qədim yunan şəhərinin ən yüksək və bərkimiş hissəsi, b.a. yuxarı şəhər, gürcücə iç qala, yuxarı qala.

Alabi Osmanlıda uzunluq ölçü vahidi, Qərbi və Cənubi Gürcüstanda yayılmışdır

ალავერდობა - ნაყოფი-
ერებისა და მოსავლის
აღება-დაბინავებასთან
დაკავშირებული დღესას-
წაული, იმართებოდა ალა-
ვერდის ტაძრის კარზე მისი
დამაარსებლის იოსებ ალა-
ვერდელის სახელზე
ინწყებოდა 28 სექტემბერს
და 3 კვირა გრძელ-
დებოდა.

ალანთა კარი -
დარიალის ერთ-ერთი
ძველი სახელწოდება.

ალანთა სამეფო - ოგსთა
სამეფო.

ალასტანელი - ქართველ
უფლისწულთა ზედწოდება
XIII-XIV სს. წარმომ-
დგარია საუფლისწულოს
ცენტრის ალასტანის
(ჯავახეთი) სახელწო-
დებიდან; ეს უფლისწულები
ფლობდნენ ჯავახეთსა და
მის მოსაზღვრე ზოგიერთ

Alaverdoba məhsulun götürül-
məsi-yerləşdirilməsi ilə əlaqədar
bayram, Alaverdi məbədi sarayında
onun banisinin İoseb Alaverdelinin
adına 28 sentyabrdan başlayırdı və
3 həftə davam edirdi.

Alanların sarayı Dəryalın qədim
adlarından biridir.

Alanların çarlığı osetinlərin
çarlığı.

Alastaneli gürcü şahzadələrinin
ləqəbi XIII-XIV əsrdən çarlıq
mərkəzinin Alasatanın
(Cavaxetinin) adından
götürülmüşdür; bu şahzadələr
Cavaxeti və ona sərhəd bəzi
rayonlara sahib idilər.

რაიონს.

ალასტანი - სოფ. ახალქალაქის რ-ში, მდ. ჭობარეთის ნაპირებზე, შემორჩენილია X-XI სს ეკლესია, XIII-XIV სს იყო საუფლისწულო მამული.

ალაფი - საომარი ნადავლი

ალი - ქართულ წარმართულ პანთეონში ნადირთა, ტყისა და წყლის პატრონი; ხალხის წარმოდგენით ის თმაგაშლილი ლამაზი ქალი იყო.

ალილო - ქართული სანესო სიმღერა, სრულდებოდა შობის წინა ღამეს, მას წარმართული ჰანგი უდევს საფუძვლად.

Alastani Axalkalaki rayonunda Çobareti sahillərində X-XI əsrin kilsəsi saxlanılmışdır, XIII-XIV əsrdə şahzadə mülkü idi.

Alapi hərbi qənimət.

Ali gürcü büt-pərəstlik panteonunda vəhşi heyvanların, meşənin və suyun sahibi; camaatın təsəvvürü ilə saçları yana tökülmüş gözəl qadın idi.

Alilo gürcülərin ənənəvi mahnısı, miladdan öncəki gecə ifa edilir, onun əsasını büt-pərəst nəqarəti təşkil edir.

ამირა - არაბულად მბრძანებელი, მეთაური, მმართველი; მთავრის შესატყვისი ტიტული აღმოსავლეთის მაჰმადიანურ ქვეყნებში. საქართველოში *ამირა*, როგორც არაბთა ხელისუფლების წარმომადგენლის აღმნიშვნელი ტერმინი, VIII საუკუნიდან გაჩნდა. თბილისის ამირას ნიშნავდა ხალიფა. XI ს-ში თბილისს გარდა ამირები ისხდნენ რუსთავში, დმანისში. ლიპარიტ ამირა რუსთავის მფლობელი იყო. 1122 წლიდან XII ს-ის ბოლომდე *ამირა* ერქვა ქალაქის გამგებლად დანიშნულ ქართველ მოხელეს, აქედან განვითარდა ამირთა ამირას თანამდებობა.

ამირანდარეჯანიანი - საფალავნოსათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოები, შექმნილი უნდა იყოს XI-XII

Əmir ərəbcə hakim, başçı, idarəçi; Şərqi müsəlman ölkələrində knyaz adına uyğundur. Gürcüstanda əmir ərəblərin hakim nümayəndələrini bildirən termin adlanır, VIII əsrdən yaranmışdır. Tbilisi əmirini xəlifə seçirdi. XI əsrdə Tbilisidən başqa əmirlər Rustavidə, Dmanisidə otururdular. Əmir Liparit Rustavinin hakimi idi. 1122-ci ildən XII əsrin sonuna qədər əmir şəhərin başçısı təyin edilmiş gürcü hakiminə deyilir, buradan da əmirlərin əmiri vəzifəsi inkişaf etdi.

Amirandarecaniani pəhləvanlıq-sərgüzəşt janrının əsərləri, XI-XII əsrin qovşağında yaradılmışdır; onda Gürcüstanın sosial-siyasi

სს მიჯნაზე; მასში წარმოდგენილია საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების ანარეკლი; მოაღწია XVII ს-ის ხელნაწერის სახით.

ამირანი - ქართული ხალხური ეპოსის გმირი, ამირანიანის მთავარი პერსონაჟი, ნადირობის ქალღმერთის *დალის* და უცნობი მონადირის შვილი, იგი საკაცობრიო მნიშვნელობის მხატვრული სახეა, რომელიც 3500 წლის წინ უნდა იყოს შექმნილი.

ამირანიანი - ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ძეგლი, საერთო სახელწოდება თქმულებებისა, რომელსაც საფუძვლად უდევს კავკასიონზე ამირანის მიჯაჭვის სიუჟეტი; ის 3500 წლის წინ უნდა იყოს შექმნილი; გავრცელდა ოსურ, აფხაზურ, სომხურ,

ჰაياتın təsviri; XVII əsrin əlyazması bu günlərə çatmışdır.

Amirani Gürcü xalq eposunun qəhrəmanı, Amiranianin baş qəhrəmanı, Dali ov ilahəsinin və naməlum ovçunun oğlu, bəşəriyyət əhəmiyyətli ədəbi növüdür ki, 3500 il öncə yaranmışdır.

Amiraniani gürcü şifahi xalq ədəbiyyat abidəsi, atalar sözlərinin ümumi adıdır. Onun əsasını Böyük Qafqaz dağında Amiranin zəncirləmə süjeti təşkil edir; O, 3500 il öncə yaradılmışdır; osetin, abxaz, erməni, şimali qafqaz xalqlarının folklorunda yayılmışdır; müqayisəli folkloristika və mifologiyada onu

ჩრდილო კავკასიის ხალხთა ფოლ-კლორში; მას ამირანდარე-ჯანიანის ერთ-ერთ ძირითად წყაროდაც მიიჩნევენ შედარებით ფოლკლორისტიკასა და მითოლოგიაში. იგი გილგამეშისა და პრომეთეს თქმულებათა ბადალ ეპიკურ ძეგლადაა აღიარებული.

ამირბარი - არაბ. *ამირაჰ* ბარ ზღვათა ამირა, ქართულ წყაროებში აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის ინდოეთის, სპარსეთის და სხვა საზღვაო ფლოტის უფროსი.

ამირეჯიბი - არაბ. კარისკაცი; ამირა, ფეოდალური საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო აპარატის მოხელე, მანდატურთუხუცესის თანამემწე და

amirandarecanianinin əsas mənbələrindən biri hesab edilir. O, Gilgameş və Prometey əsəirlərinin epik abidəsi kimi tanınır.

Amirbari *ərəbcə* Amirah bar dənizlərin əmiri, gürcü mənbələrində şərqin bəzi ölkələrinin Hindistanın, İrənin və başqa dəniz donanmasının başçısıdır.

Amirecibi *ərəbcə* saray məmuru; feodal Gürcüstanının Mərkəzi dövlət aparatının məmuru, mandatortuxutesinin köməkçisi, saray və ziyafət mərasimlərini idarə edirdi və bu vəzifədən də Amirecibi soyadı yaranmışdır.

ეჭიბთა უფროსი, განაგებდა დარბაზობისა და პურობის ცერემონიას, ამ თანამდებობისაგან წარმოდგა გვარი ამირეჯიბი.

ამირთამირა - ქალაქის თავი ფეოდალურ საქართველოში, XII ს-ის ბოლოდან, როცა ეს მოხელეობა დანესდა, XV ს-მდე ასე ეწოდებოდა თბილისის გამგებელს, შემდეგ ჩდებაიან სხვა ქალაქებშიც (ახალციხე, ქუთაისი); XVII საუკუნიდან მას ქალაქის მოურავი ეწოდება, თბილისის უკანასკნელი ამირთამირა იყო გიორგი სააკაძე.

ამირსპასალარი არაბ. ამირთ უფროსი, სარდალი, ფეოდალური საქართველოს ვეზირი, მთავარსარდალი; პირველად გიორგი III-ის დროს იხსენიება წყაროებში;

Əmirlərin əmiri şəhərin baş feodalı, XII əsrin sonundan təsis edilmiş və XV əsrə qədər Tbilisi başçısı belə adlanırdı, sonra başqa şəhərlərdə də yaranırlar (Axalsixə, Kutaisi); XII əsrdən ona şəhərin mouravisi adı verilir, Tbilisinin ən sonuncu əmirlər əmiri Qiorqi Saakadze olmuşdur.

Amirspasalar ərəbc. əmirlərin başçısı, sərkərdə, feodal Gürcüstanının vəziri; baş sərkərdə; ilk dəfə III Qiorqinin dövründə mənbələrdə istifadə olunur; buna qədər spasalar kimi tanınırdı və yerli hərbi işləri qaydaya salırdı,

მანამდე ცნობილი იყო *სპასალარი*, რომელიც ადგილობრივ სამხედრო საქმეებს განაგებდა, მაგრამ ამ თანამდებობის არსებობა სავარაუდოა უკვე იმ დროიდან, როცა დავით IV-მ სახელმწიფო რეფორმები განახორციელა და მუდმივი ჯარი შექმნა; საქართველოს პოლიტიკური დაშლის შედეგად ეს თანამდებობა მოისპო.

ამირსპასალარი - მთავარ-სარდალი.

ამქარი - სპარს. *ჰამქარ* – თანამოსაქმე, ერთი ან მონათე-სავე ხელობის ოსტატთა გაერთიანება შუა საუკუნეების ქალაქებში; ამიერკავკასიაში მისი შესატყვისი ტერმინი XVII-XVIII სს იყო *ასნაფი*, *ესნაფი*, უფრო ადრე ხელოსანთა გაერთიანებას საქართველოში *თაბუნი*

amma bu vəzifənin olması ehtimal ki, IV Davitin dövlət islahatlarını həyata keçirdiyindən və daimi qoşunu yaratdığından yaranmışdır; Gürcüstanın siyasi parçalanması nəticəsində bu vəzifə aradan qaldırıldı.

Amirspasalar – baş sərkərdə.

Amkar farsca Hamkar – bir və ya bir neçə yaxın sənət ustalarının birliyi orta əsrlərin şəhərlərində; Zaqafqaziyada ona uyğun termin XVII-XVIII əsrdə idi – asnap, əsnaf, daha əvvəllər Gürcüstanda sənətkarlar birliyi tabun adlanırdı, amkari isə XIX əsrdə bərqərar olundu.

ენოდებოდა, ამჟამად კი XIX ს-ში დამკვიდრდა.

ანდერძი წიგნისა - მინაწერი ძველ ხელნაწერთა, რომელშიც აღნიშნულია ავტორის, შემკვეთის, გადამწერის ვინაობა, გადანერის ადგილი და დრო, ხელნაწერის წყაროები, გადანერის მიზანი, საწერი მასალა და სხვა.

ანექსია - სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ან მისი ნაწილის მითვისება ძალით ან მისი გამოყენების მუქარით. XX ს-ის დასაწყისამდე ანექსია განიხილებოდა გამარჯვებული სახელმწიფოს კანონიერ უფლებად. გაეროს წესდებით, ძალის გამოყენებისა და დამუქრების აკრძალვასთან ერთად, უკანონოდ გამოცხადდა ანექსიაც. თანამედროვე საერთაშორისო სამართ-

Kitab irsi qədim əlyazmalar, hansında müəllifin, sifarişçinin, yenidən yazanın kimliyi, köçürülmə yeri və vaxtı, yazının mənbələri, köçürmə məqsədi, yazı materialı və s. qeyd edilir.

Anneksiya başqa dövlət tərəfindən ərazinin və ya onun hissəsinin zorla və ya hədə-qorxu ilə mənimlənməsi. XX əsrin əvvəlinə qədər anneksiya qalib dövlətin qanuni hüququ kimi təhlil edilirdi. BMT-nin nizamnaməsi ilə, qüvvənin tətbiq edilməsi və hədə-qorxunun qadağası ilə birlikdə anneksiya da qeyri-qanuni elan edildi. Müasir beynəlxalq hüququn normaları ilə ərazinin əldə edilməsi forması kimi qanunsuz əməl kimi tanınmışdır.

ლის ნორმებით, ანექსია, როგორც ტერიტორიის შექმნის ფორმა, უკანონო ქმედებად არის მიჩნეული.

ანთროპოსფერო - ადამიანების ერთობლიობას ეწოდება *პოპულაცია* ან *კაცობრიობა*. ინდივიდების ურთიერთობა ქმნის *საზოგადოებას* ან *სოციუმს*. ინფორმაცია, რომელიც ადამიანს მემკვიდრეობითი ნიშან-თვისების გზით გადაეცემა, ცირკულირებს საზოგადოებაში და წარმოქმნის *ნოოსფეროს*. საზოგადოების ყველა მატერიალური და ინფორმაციული საქმიანობა წარმოქმნის *კულტურას*. ადამიანი, როგორც ცოცხალ ორგანიზმთა 90%, იყოფა ორ სქესად: მამრი და მდედრი.

ანტიკური ქალაქები - შავიზღვისპირეთში წარმოიქმნა ძვ.წ VIII-VI სს, ე. წ.

Antroposfer insanların birliyinə *populyasiya* və ya bəşəriyyət adlanır. Fərdlərin ünsiyyəti cəmiyyəti və ya *sosiumu* yaradır. İnsana irsən əlamət-xassələrin yolu ilə ötürülən məlumat cəmiyyətdə dövrüyyə edir və noosferi yaradır. Cəmiyyətin bütün maddi və məlumat fəaliyyəti *mədəniyyəti* yaradır. Canlı orqanizmlərin 90% olan insanlar iki cinsdə olurlar: kişi və qadın.

Antik şəhərlər Qara dəniz sahillərində er. ə. VIII-VI əsrdə yaranmışdır, belə adlanan yunan

დიდი ბერძნული კოლონიზაციის შედეგად, ძვ. წ. VIII ს-ში პირველი ბერძნული დასახლებები გაჩნდა შავი ზღვის სამხრ.-აღმ. სანაპიროზე, მათგან უძველესია სინოპი და ტრაპეზუნტი. ძვ. წ. VI ს-ში შავი ზღვის ჩრდ. სანაპიროზე გაჩნდა *პანტიკაპეიონი, ნიმფეონი, კეპე, გორგიპეა, ტირიტაკე*, ხოლო შავი ზღვის აღმ. სანაპიროზე - *ფასისი, გიენოსი, დიოსკურია*.

არაბობა საქართველოში - არაბთა ფეოდალური სახელმწიფოს სახალიფოს მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ დამყარებული რეჟიმი, რომელიც VII ს-ის შუა წლებიდან, XI ს-ის შუა წლებამდე გრძელდებოდა.

არაგვის საერისთავო - ფეოდალური საქართველოს სამხედრო-ადმი-

კოლონიზაცია ნატივში, er.ა. VIII აზრდ ბირინცი yunan მონთაქლერი Qara დენიზ საჰილინინ ცანუბ ჟერჟინდე yaranმიშიდრ, onlardan ან qადიმი vა Trapezunt. E.ა. VI აზრდე Qara დენიზინ ჟიშალ საჰილინდე Pantikapeion, Nimfeon, Kepe, Qorqipea, Tiritake, Qara დენიზინ ჟერჟ საჰილინდე ისე Pasisi, Qienos, Dioskuriya.

Әрәбlik Gürcüstanda әрәбләрин feodal dövlätinin хәләфилиyi тәрәfindән Gürcüstanın işğalından sonra бәрqарар edilmiş rejimdir ki, VII әsrin ortalarından XI әsrin ortalarına qәdәр davam edir.

Araqvi eristaviliyi feodal Gürcüstanının һәрbi-inzibati vahididir ki, çar тәрәfindән тәyin

ნისტრაციული ერთეული, რომელსაც მართავდა მეფის მიერ დანიშნული მოხელე – ერისთავი

არდადეგი - მზის წლიურ მოქცევაზე დამყარებული ძველი ქართული წარმართული კალენდრის თვე.

არზა - არაბ., სპარს. *არიზე*, ხელისუფლებისადმი მიმართული წერილობითი თხოვნა თუ საჩივარი ფეოდალურ საქართველოში.

არმაზის ბილინგვა - მცხეთის არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებული ორენოვანი ეპიტაფია, რომლის ერთი ტექსტი ბერძნულად, მეორე არამეულადაა ნაწერი, არამეული წარმოშობის არმაზული ასოებით, წარწერა არმაზისხევში იპოვეს 1940 წ.

არმია - სახელმწიფოს მთელ შეიარაღებულ

edilən məmur – eristavi idarə edirdi.

Ardadeqi günəşin illik dövriyyəsinə əsaslanan qədim gürcü bütperəst təqvim ayıdır.

Arza ərəbcə, farsca arize, feodal Gürcüstanda hakimiyyətə yönəlmiş yazılı tələbat və ya şikayət.

Armazi bilinqvası Msxeta arxeoloji qazıntılar zamanı tapılan ikidilli epitafiya, onun bir mətni yunanca, ikincisi Aramey dilində yazıdır, Aramey mənşəli Armazi hərfləri ilə, Armazisxevidə 1940-ci ildə tapılmışdır.

Ordu dövlətin tam silahlı

ძალთა ერთობლიობა.

ართანუჯი - ციხე-ქალაქი ისტორიულ სამხრ.-დას. საქართველოში მდ. არტანუჯისწყლის მარცხენა ნაპირზე, VIII ს. I ნახევარში ციხე მურვან ყრუმ დაანგრია, IX ს. განაახლა ამოტ I-მა კურაპალატმა, მანვე დააარსა აქ ქალაქი და ააგო ეკლესია; X ს. მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი და კლარჯეთის დედაქალაქი იყო, XIII ს. ათაბაგების გამგებლობაში იყო, 1553 წ. თურქებმა დაიპყრეს, ამჟამად სოფელია და თურქეთის საზღვრებშია.

არქეოგრაფი - არქეოგრაფიის სპეციალისტი.

არქეოგრაფია - ისტორიის დამხმარე დარგი, რომელიც მიზნად ისახავს ისტორიული წერილობითი

qüvvələrinin vəhdətidir.

Artanuci qala-istehkam tarixi Cənub-şərqi Gürcüstanda Artanucissğalinin sol sahilindədir, VIII əsrin I yarısında Kar Murvan qalanı uçurmuş, IX əsrdə onu I Aşot Kurapalat bərpa etmiş, burada şəhərin əsasını qoymuş və kilə tikmişdir; X əsrin mühüm ticarət mərkəzi və Klarcetinin paytaxtı idi, XIII əsrin atabəylərin qamqəobasında idi, 1553-cü ildə türklər tərəfindən zəbt edildi, hal-hazırda kənddir və Türkiyənin sərhədində yerləşir.

Arxeoqraf arxeoqrafiya üzrə mütəxəssis.

Arxeoqrafiya tarixin köməkçi sahəsi və məqsədi tarixi yazılı abidələrin təsviri və ötürülmə işidir.

ძეგლების აღწერისა და გამოცემის საქმეს.

არქეოლოგია - არქეოლოგიის სპეციალისტი.

არქეოლოგია - მეცნიერება, რომელიც ისტორიას იკვლევს ძველი მატერიალური კულტურის ძეგლების და მათი მიწისქვეშა ნაშთების გამოვლენისა და შესწავლის მიზნით.

არქეოლოგიური - არქეოლოგიის შესახები, არქეოლოგიასთან დაკავშირებული, არქეოლოგიისათვის დამახასიათებელი.

არქეტიპი - რისამე პირველსახე, საწყისი, ამოსავალი ფორმა.

არქეტიპული - არქეტიპისთვის დამახასიათებელი, პირველსახე

ასომთავრული - ამა თუ იმ ასოს განსაკუთრებული სატექსტო დანერგვით

Arxeoloq arxeologiya üzrə mütəxəssis.

Arxeologiya qədim maddi mədəniyyət abidələrinin və onların yeraltı qalıqlarının aşkar edilməsi və öyrənilməsi məqsədilə tarixi araşdırır.

Arxeoloji arxeologiya haqqında arxeologiya ilə əlaqədar arxeologiya üçün xarakterik.

Arxetip nəyinsə başlanğıcı, ilkin forması.

Arxetip arxetip üçün xarakterik, - ilkin formalı.

Baş hərf bu və ya digər hərfin xüsusi mətni yazıdan fərqli cizgisidir. Ən qədim gürcü epigrafiq abidələr baş həflərlə

ბისაგან განსხვავებული მოხაზულობა. უძველესი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები შესრულებულია ასომთავრულით, რომელსაც *მრგვლოვანსაც* უწოდებენ.

ასპარეზი ცხენის სარბიელი, მოქმედების არე, ბრძოლის, სპორტული თუ საერთოდ ყოველგვარი შეჯიბრის ადგილი. *ასპარეზი* ერქვა მოედანს ფეოდალური თბილისის გარეუბანში, აქ იმართებოდა სპორტული თამაშობანი, შეჯიბრებები, ჯირითი, ყაბახი, ბურთაობა და სამხედრო ვარჯიში, მოგვიანებით ასპარეზს *ყაბახსაც* უწოდებდნენ.

ასპარეზობა - ძველ საქართველოში ცხენოსნობა ზოგადი მნიშვნელობით. ასპარეზობის სახეებიდან აქ გავრცელებული

yerinə yetirilmişdir, onu dairəvi hərflər də adlandırırdılar.

Arena farsca at meydanı, hərəkət sahəsi, mübarizə, idman və ya ümumi hər növ müsabiqə yeridir. Arena feodal Tbilisinin ətraflarında meydan adlanırdı, burada idman oyunları, yarışmalar, minicilik, top-top və hərbi məşq keçirilirdi, sonralar gəbaxi də adlandırırdılar.

Yarışma Qədim Gürcüstanda ümumi mənada atsürmə. Yarışmaların növlərindən burada atsürmə yayılmışdı, top-top və s.

იყო ცხენოსნობა, ბურთაობა და სხვა.

ასურელი მამები - საეკლესიო მოღვაწეთა ჯგუფი, რომლებიც VI ს.-ში მოსულან საქართველოში სირიიდან. ისენიებიან ათორმეტი ან ათსამეტნი, სინამდვილეში მეტნი იყვნენ და რიცხვი 12 ან 13, როგორც ჩანს, საკრალური მნიშვნელობით არის აღებული. მათი აქ მოღვაწეობის მიზანი ქრისტიანული რელიგიის დაცვა-განმტკიცება იყო. ესენი არიან: იოანე ზედაზნელი, დავით გარეჯელი, აბიბოს ნეკრესელი, შიო მღვიმელი, იოსებ ალავერდელი, ანტონ მარტყოფელი, თადეოზ სტეფანწმინდელი, პიროს ბრეთელი, იასე წილკნელი, სტეფანე ქიზიყელი ანუ ხირსელი, ისიდორე სამ-

Assuriyalı atalar kilsə xadimlərinin bir qrupudur ki, VI əsrdə Suriyadan Gürcüstana gəlmişlər. On iki və ya on üç kimi xatırlanırlar, həqiqətdə isə daha çox idilər və 12 və ya 13 rəqəmi sakral mənada götürülmüşdür. Onların burada fəaliyyətinin məqsədi xristianlıq dinin müdafiəsi və möhkəmlənməsi idi. Assuriyalı atalar idilər: İoanr Zedazneli, Davit Qareceli, Abibo Nekreseli, Şio Mğvimeli, İoseb Alaverdeli, Anton Martğopeli, Tadeoz Stepantsmindeli, Piros Breteli, İase Tsiklneli, Stepane Ğizixeli yəni Xirseli, İsidore Samtavneli, Mikael Ulumboeli, Zenon İğaltoeli.

თავნელი, მიქაელ ულუმ-
ბოელი, ზენონ იყალ-
თოელი, ელია დიაკონი,
პიმენი, ნათანე, იოანე.

აფეთქება - ნგრევის
ძალის მქონე ერთობაში
მოქმედება, რომელიც
შედგება აფეთქებადი
ნივთიერების აალებისა და
რასაც თან სდევს
ქუხილისებური ხმაური.

აფხაზთა სამეფო - ერთ-
ერთი ადრინდელი ფეო-
დალური ქართული სახელ-
მწიფო, რომელსაც აგრე-
თვე ეწოდება ეგრის-
აფხაზეთის სამეფო. შეიქმნა
VIII ს-ის 80-90-იან წწ.-ში.
დასავლეთ საქართველოს
გაერთიანებისათვის ბრძო-
ლაში აფხაზმა მთავრებმა
მთავარ ლეონ II-ის
მეთაურობით ისარგებლეს
ეგრისის მმართველი წრე-
ების პროგრესული ნაწი-
ლის მხარდაჭერით, VIII ს.-

Partlayış dağıcı güvvəyə malik
birdəfəlik əməldir ki, nəticədə
partlayıcı maddə alışıx və bu da
şiddətli səsə səbəb olur.

Abxazların çarlığı Erkən feodal
gürcü dövlətlərindən biridir ki,
eləcə də Eqrisi-Abxaziya çarlığı
adlanırdı. VIII əsrin 80-90-cı
illərindən yaranmışdır. Qərbi
Gürcüstanın birləşməsi uğrunda
mübarizədə abxaz knyazları II
Leonun başçılığı ilə Eqrisi hakim
dairələrinin mütərəqqi hissəsinin
dəstəyi ilə faydalanaraq VIII əsrin
sonunda Leon vizantiyalılardan
azad oldu və Abxazların çarı
titulunu qazandı. Əhalinin
əksəriyyəti gürcülər (kartlar,
meqrellər, svanlar), eləcə də
abxazlar idilər. Danışıq dili gürcü
dili idi, paytaxt isə Kutaisi şəhəri;

ის ბოლოს ლეონი გათავისუფლდა ბიზანტიელებისაგან და მიიღო აფხაზთა მეფის ტიტული. მოსახლეობის უმრავლესობა იყვნენ ქართველები (ქართვები, მეგრელები, სვანები), ასევე აფხაზებიც. სალაპარაკო ენა ქართული იყო, დედაქალაქი - ქუთაისი; დანიშნულა ეკონომიკურად, განვითარდა კულტურა, გაყოფილი იყო 8 საერისთავოდ: აფხაზეთის, ცხუმის, ბედიის, სვანეთის, რაჭა-თაკვერის, გურიის, ქუთაისისა და შორაპნის.

ალაპი - ტრაპეზი, მიცვალებულის მოსახსენებლად პურის ჭამა, განკუთვნილი ეკლესია-მონასტრის კრებულისათვის. მას აქ თანახლდა წირვა, ზოგჯერ კი პანაშვიდიც. ალაპის ნიადგზე წარმოიშვა პირო-

iqtisadi cəhətdən irəli getdi, mədəniyyət inkişaf etdi, 8 eristavilərə bölündü: Abxaziya, Sxumi, Bediya, Svaneti, Raça-Tavkeri, Quriya, Kutaisi və Şorapani.

Ağapi dünyasını dəyişənlərin yad edilməsi üçün çörək yemək, kilsəmonastr toplusu üçün nəzərdə tutulmuşdur. Onu burada duaların oxunması da müşayiət edirdi. Ağapi torpağında şərti olaraq mülkədarlığın xüsusi forması, b.a. *fədalar* yarandı, təhkimçi

ბითი მინათმფლობე-
ლობის განსაკუთრებული
ფორმა ე. წ. *შენირული*,
შეიქმნა ყმა-გლეხთა ცალკე
ჯგუფი - მელაპენი, რომ-
ლებიც ვალდებულნი იყვ-
ნენ ეკლესიებში ალაპის
საჭიროებისათვის თავი-
ანთი ჭირნახული მიეტანათ.

ბაზაზი - არაბ. მენვრილ-
მანე, ფართლელის
ვაჭარი ძველ საქართვე-
ლოში.

ბაზიერთუხუცესი -
სანადირო უწყების უფროსი
გვიანფეოდალური საქარ-
თველოს სამეფო კარზე;
მას ემორჩილებოდნენ
ბაზიერი, ტყის მცველი და
სხვა.

ბაზიერი - სპარს.
სანადირო ფრინველთა
დამგეშავ-მწვრთნელი და
მეთვალყურე ფეოდალურ
საქართველოში.

ბარონი - თავადაზნაურთა

kəndlilərin *meağapeni* ayrı qrupu
yaradıldı ki, bunlar da kilsələrə
Ağapinin ehtiyacları üçün öz
ərzaqlarını gətirməli idilər.

Bazazi ərəb.xırdavatçı, qədim
Gürcüstanda tacir

Baziertuxutsesi ovculuq
qurumlarının başçısı Qədim feodal
Gürcüstanın çar sarayında; ona
bazieri, meşə gözətçisi və s. tabe
idilər.

Bazieri farsc. Feodal
Gürcüstanında ov quşlarını
əhlilləşdirən və nəzarət edəndir.

Baron zadəganların titiuludur.

ტიტული. ინგლისის უმაღლეს თავადაზნაურობის იერარქიაში ბარონს უკანასკნელი ადგილი უჭირავს. უფრო ფართო გაგებით, *ბარონს* უწოდებენ ინგლისის თავადაზნაურობის ზედაფენას, ლორდთა პალატის მემკვიდრეობითს წევრებს. საფრანგეთსა და გერმანიაში ეს ტიტული უფრო დაბლა იდგა, ვიდრე გრაფისა. რუსეთში პეტრე I-მა შემოიღო ბალტიისპირეთის გერმანელ თავადაზნაურობის ზედაფენის წარმომადგენელთათვის.

ბატონყმობა - ფეოდალური ეპოქის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა, მოიცავს ფეოდალური სახელმწიფოს სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომელიც ამკვიდრებს გლეხთა დამოკიდებულების ყველაზე

İngiltərədə ali zadəganların iyerarxiyasında baron sonuncu yeri tuturdu. Daha geniş anlamda, İngiltərə zadəganlarının ali təbəqəsi, lordlar palatasının irsi üzvlərini baron adlandırırlar. Fransa və Almaniyada bu titul daha aşağıda durur, nəinki qraf. Rusiyada I Pyotr Baltıqyanı alman zadəganlarının ali təbəqəsinin nümayəndələri üçün bu adı təsis etmişdir.

Təhkimçilik feodal dövründə ictimai münasibətlər sistemidir, feodal dövlətin hüquqi normalarının vəhdətini özündə birləşdirir ki, bu da kəndlilərin asılılığının ən tam və ağır formasını bərqərar edir. Termin həm gürcü tarixşünaslığında, eləcə də feodalizmin sinonimi kimi işlənir. O, feodal və kəndli

სრულ და მძიმე ფორმას, ტერმინი იხმარება აგრეთვე ქართულ ისტორიოგრაფიაში როგორც ფეოდალიზმის სინონიმი, ის ფეოდალის და გლეხის ურთიერთდამოკიდებულების აღმნიშვნელი ცნებაა. ფეოდალიზმის გენეზისი აქ დაიწყო პირველივე საუკუნეებიდან; IV-V სს ჩამოყალიბდა ფეოდალური კლასი აზნაურობა, რომელიც 2 ფენისაგან შედგებოდა: 1. მთავრები, დიდი აზნაურები, 2. აზნაურები, რომლებიც მთავართა ვასალები იყვნენ. გაუქმდა 1864 წელს.

ბეგარა - 1. საბატონო მიწის რენტის ერთ-ერთი ფორმა, შრომა-მიგებითი რენტა; იყო ნატურალური, ფულადი და შრომითი ვალდებულებისა, მაგ.,

qarşılıqlı asılıqlarını bildiren anlayışdır. Feodalizm genezisi burada birinci əsrdən başlamışdır; IV-V əsrlərdə feodal sinfi aznaurluq formalaşdı ki, bu da 2 təbəqədən asılı idi: 1. Knyazlar, böyük aznaurlar; 2. Aznaurlar ki, bunlar da knyazların vassalları idilər. 1864-cü ildə ləğv olundu.

Beqara (vergi) 1. Mülkədar torpağının icarə haqlarından biridir, natural, pul və əmək öhdəlikləri var idi., məs., adambaşına, ailəbaşına beqara var idi, 2. Hərbi beqara (vergi), əsgərlik, növbətçilik

თავი ბეგარა, იყო კომლობრივი, 2. სამხედრო ბეგარა, მოლაშქრეობა, მორიგე ჯარი, 3. შრომითი ბეგარა გადაუდებელი საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაოს შესრულების მოვალეობა.

ბეგი, ბეი - *თურქ.* მთავარი, ბატონი, გვაროვნული და ფეოდალური დიდკაცობის ტიტული ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ბეგლარბეგი - *თურქ.* *ბეგთაბეგი*, ფეოდალური ტიტული და თანამდებობა მისი სინონიმი არაბულად *ამირა* *ალუმარა*, *ამირთა ამირა*.

ბელგა - ნიშან-სამკაული ან ფული ოქროსი ან ვერცხლისა, რომელიც უნდა მიეტანა ვაჟს თავისი საცოლისათვის, ბელგის მიცემა ანუ დანინდვა

ordusu, 3. *Əmək beqarası təxirəsalınmaz ictimai zəruri işin yerinə yetirilməsi öhdəliyi.*

Bəy türk. Müasir və Orta Şərq ölkələrində knyaz, ağa, adlı-sanlı və feodal cəmiyyətinin titulu

Bəylərbəyi türk. Feodal titulu və vəzifəsi, onun sinonimi *ərəbcə amir, alumara, əmirlərin əmiri.*

Bəlgə oğlanın öz nişanlığına apardığı nişan-zinət və ya qızıl pul və ya gümüşdür, bəlgənin verilməsi ön şərtidir ki, sonra nişan və toy olsun.

მოყვრობაზე შეთანხმების მთავარი წინაპირობა იყო, რომლის შემდეგ ნიშნობა და ქორწილი იმართებოდა.

ბიბლია - წიგნები, იუდაისტური და ქრისტიანული რელიგიების საღვთო წიგნების კრებული. ქართული ბიბლიის უძველესი ხელნაწერია ოშკის ბიბლია 978 წ.

ბლიცკრიგი - გერმანიის აგრესიული, დაპყრობითი ომის წარმოების ავანტიურისტული თეორია, რომლის მიზანი იყო მონი-ნაალმდეგის დამარცხება უმოკლეს დროში.

ბოგანო - გლეხთა კატეგორია ფეოდალურ საქართველოში, *ბოგანოდ* ითვლებოდა უვენახო მცირემინიანი, ეკონომიკურად ხელმოკლე გლეხი; ეს კატეგორია წარმოიქმნა მონღოლთა ბატონობის მძიმე ხანაში.

